ეროვნული ბიბლიოთეკა


| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891



## სასწავლებელი და პანსიონი
## ს.პ. ჯორჯიკიასი.
(ქუთაისი)

პირველ სექტემბრიდგან პანსიონერებს მიიღებს წლიურად 180 მანეთად. გარეშეგან მოსიარულეთაგან აიღებს თთვეში სამ-სამს მანეთს მოსამზადებელს და პირველს კლასში მომზადებისათვის. ყმაწვილებს ამზადებს გიმნაზიისა, პროგიმნაზიისა, რეალურ, სამოქალაქო და სხვა სასწავლებლის ყველა კლასისათვის. ზაფხულშიაც ქუთაისში რჩება. (13—11)

**ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საცნობლად** უმორჩილესად ვაცხადებ, რომ წელს სენაკის სათავად-აზნაურო სასწავლებლის პირველს განყოფილებაში ოც-და თექვსმეტი (36) თავისუფალი ადგილია, მეორეში-თხუთმეტი (15), მესამეში (10) ათი და მეოთხეში თორმეტი (12). პირველს განყოფილებაში შემსვლელთ ეგზამენი არ მოეთხოვებათ, რადგანაც ან-ბანის უმეცარნიც მიიღებიან, ხოლო ვისაც შემდეგს განყოფილებაში ჰსურს შესვლა, იმათ შესაფერ განყოფილების პროგრამის ეგზამენი უნდა დაიჭირონ. თხოვნასთან უნდა წარმოდგენილ იქმნას მოწმობა აზნაურობისა, ანუ ბარათი ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა, რომ მთხოვნელი ბანკის დამფუძნებელთა შორის ითვლება.

თხოვნის მიღება დაიწყება 25 აგვისტოდამ და 30-მდე გასტანს დაბა ძველს სენაკში სკოლის ინსპექტორის სახელობაზე. (7—6)

სკოლის ინსპ. სამსონ გ. ყიფიანი.


## ახალი ამბავი

*** ბ-ნი ტფილისის გუბერნატორი თავ. გ. შარვაშიძე გუშინ სოფ. ბეთანიდგან ტფილისში ჩამობრძანდა.

*** ამ ჟამად ტფილისში იმყოფება ამერიკელი მოქალაქე ჟორჟ ფრეინდენრეიხი, რომელიც ამ თვის 22 ბათუმიდგან ჩამოვიდა აქ. ბ-ნი ფრეიდენრეიხი ტფილისიდგან ბაქოში გაემგზავრება ბაქოს ნავთის წყაროების დასათვალიერებლად და შესასწავლად.

*** კავკასიის დედათა ინსტიტუტში ამ წლიდგან დაიწყებენ გერმანულ ენის სწავლებას.

*** ოსმალეთის ელჩი ბ-ნ პოლიცმეისტერსატყობინებს, რომ ტფილისში მრავალი ოსმალეთის ქვეშევრდომი უპასპორტოდ სცხოვრობს, რის გამოც მათ სიკვდილის შემდეგ დიდი მიწერ-მოწერა არის ხოლმე სტამბოლთან იმათ ქონებისა და პასპორტების შესახებ და ბევრჯელ მკვდრების ნათესავნი ჰკარგავენ ხოლმე სამკვიდროსაო. ამის გამო გთხოვთ უბძანოთ, რომ უპასპორტო ოსმალეთის ქვეშევრდომნი შეპყრობილ იქმნენ და მე წარმომიდგინონო.

*** რუსეთის გაზეთები იუწყებიან, რომ პეტერბურგიდამ წამოსულა ჩვენს მხარეში რუსეთის გამოჩენილ პროფესორის დ. ი—ძის მენდელეევის ერთი მოწაფეთაგანი, ბუნების მეტყველების კანდიდატი ლ. პ—ძე რადინი, რომელსაც განუზრახავს ტფილისს ახლო ღვინის ხაშურის ქარხანის გამართვა. დღემდის ეს ქიმიური ნივთიერება რუსეთში უცხოეთიდამ შემოჰქონდათ და ჩვენის ქალაქის მიდამოებში გამართული ღვინის ხაშურის ქარხანა პირველი იქნება რუსეთში.

*** ჩვენის ქალაქის ქუჩებში დილაადრიან დაწყებული გახშირებული ძახილი გაისმის: „მალაკო, მალაკო"-ო. ასე ჰყვირიან სოფლელი თათრები, რომელთაც თუნუქის ჭურჭლით ჩამოაქვთ ჩვენს ქალაქში რძე, კარდაკარ დადიან და ჰყიდიან. ეს რძე ხშირად მწვანე ფერისაა თურმე და მეტად თხელი და შიგ ვინ იცის კიდევ რამდენი რა არ არის შერეული.

საჭიროა, სავაჭრო პოლიციამ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ამ ვაჟბატონებს.

*** პეტერბურგის სამხატვრო აკადემია დრო-გამოშვებით ჰმართავს გასაჯიბრებელ გამოფენას სხვა-და-სხვა სასწავლებლის მოსწავლეთა სურათებისას. ამ გამოფენაზე ჩვენის მხრის გიმნაზიებიც და სხვა-და-სხვა სასწავლებელიც იღებენ მონაწილეობას. წელს მეთერთმეტე გამოფენა იყო გამართული ამ აკადემიაში და აი რომელ სასწავლებლებს მიუღია საჩუქარი კარგის მხატვრობისათვის: ვერცხლის მედალი და ფურცელი მოწონებისა მიუღიათ ჩვენის ქალაქის 1-ლსა და მე-2 გიმნაზიის მოსწავლეთ. მე-2 გიმნაზიის მხატვრობის მასწავლებლის ბ-ნ ზახაროვის მეცადინეობა არა ერთხელ უცვნია აკადემიას პატივ-საცემლად წინანდელ გამოფენის დროსაც და ამისათვის იმ კომისიას, რომელიც მოსწავლეთა ნახატებს არჩევდა, განუზრახავს აკადემიის რჩევის წინაშე იშუამდგომლოს, რომ ბ-ნ ზახაროვსაც რაიმე საპატიო საჩუქარი მიეცესო. კომისიას ყურადღება მიუქცევია სასწავლებლების იმ უფროსებისათვის, რომელნიც განსაკუთრებულს ყურადღებას აპყრობენ მხატვრობას თავიანთ სასწავლებელში და ყოველს საშუალებას ჰხმარობენ, რომ ეს საქმე ჯეროვანად სწარმოებდეს იმათ სასწავლებელში. ამ მხრით განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია კომისიას ტფილისის 1-ლ გიმნაზიის დირექტორის ბ-ნ მარკოვისათვის, რომელსაც წარუგზავნია აკადემიისათვის თავის გიმნაზიის სამხატვრო კლასის აღწერილობა. რადგან ეს აღწერილობა ძლიერ საინტერესოდ უცვნია კომისიას, გადაუწყვეტნიათ ცალკე დაბეჭდა იმისი და მასთან შუამდგომლობა აკადემიის რჩევის წინაშე, რომ ბ-ნი მარკოვი თავის მოღვაწეობით ღირსია აკადემიის საპატიო წევრად-დამხმარებლად ჩაირიცხოსო.

*** სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო იმის ცდაშია, რომ ჭირნახულის სეტყვისაგან დაზღვევა [illegible]

## ფელეტონი

### დაუვიწყარი საღამო

I

ბადრი მთვარე ალერსით ჩამოიცქირება ლურჯ სივრციდგან; მისი მკრთალი ნათელი არე-მარეს ეფინება და იქაურობა რაღაც საოცნებო სურათად გადაქცეულა. სფ. ფ—ას მშვენიერი სახე სდევს: ხეები გაწამებულა, თითქოს ხმაურობას მოელიან რასმე და ყურს უგდებენო... მარტო მდინარე არავის ეპუება, გაჩქარებული მოშხუის და განუწყვეტელის დუდუნით მოჰლაპარაკობს თავისს აწმყო ვითარებასა და წარსულს ცხოვრებას. ხალხი სტკბება გულის წარმტაცის ღამით და სიამოვნებით ებაასება ერთმანეთს სახვალიო საშუშაოზედ. აგერა, ქოხის კარებზედ, ჰზის ჩაფიქრებული ყმაწვილი ქალი: როგორც ეტყობა, სასიამოვნო ოცნებით დაჰფრინავს ზევით-ზევით, თვით მნათობთა მახლობლად და ქვეყნიური, ყოველ-დღიური ერთ-გვარი ცხოვრება დროებით მოუშორებია თვალიდგან; ღამის მეფასაგან მკრთალი შუქი გადაჰფენია და სწორედ საუცხოო რამე სჩანს. ოღონდაც, დღეს კატო ბედნიერზედ უბედნიერესია!.. საცაა უნდა მოუვიდეს თავისი ძვირფასი გაბო, ამისი სიხარული და ერთად-ერთი იმედი ამ ცხოვრებისა, მან გამოუწოდა ხელი სწორედ იმ დროს, როდესაც ცალკე ობლობისა და ცალკე სიღარიბისაგან ილაჯ-გაწყვეტილს სასოება დაეკარგნა და განწირულებით უყურებდა მერმისს, რომელიც შავის ღრუბლებით იყო გაბინდული და რომელშიაც ნაპერწკლის ოდენა სინათლეც არ გამოსჩანდა... მაგრამ არა!.. ღმერთმა მოწყალის თვალით გადმოხედა საბრალოს; ცივი ქარი ამოვარდა, დაჰბერა, გააბნია ღრუბლები და მოკრიალებულს ცაზედ სხვა-და-სხვა ვარსკვლავმა გამოაშუქა... ორი კვირა იქმნება, რაც კატო დაჰნიშნა გაბომ. დღეს უნდა მოსულიყო და გადაეწყვიტათ, საროდიოდ ყოფილიყო ქორწილი. რა ბედნიერია!..

— შვილო, ადე, ჩაიცვი კაბა, საცაა სიძე მოვა,—უთხრა ერთმა შავებში ჩაცმულმა მაღალმა დედაკაცმა, რომელიც ის იყო ქოხიდგან გამოვიდა. იმისი ჩამომხმარი დ ჩაყვითლებული სახე აშკარად ჰმეტყველებდა იმ ტანჯვა-ვაებას, რომელიც ამ მუხთალს წუთი-სოფელში გამოევლო უბედურს.

— რატომ აგრე დაღონებულხარ, დედაჩემო?!. გამხიარულდი, გვეყო ნაღველი და ვარამი. შენი კატო გაგიბედნიერდა, სხვა რაღა გინდა?!.

— ღმერთმა გისმინოს, შვილო, შენა ხარ ჩემი სიცოცხლე და თუ-კი ბედნიერად დაგინახავ, რაღა მიშავს!..

— კიდეც ეგ არის, რომ შენი შუბლი მაინც არ არის გახსნილი!.. მოამხიარულდი, დედი, გენაცვა!.. ეხვეწებოდა ბედნიერებით გაღიმებული კატო.

მართლა-და, რა აღონებდა ანანას?!. ეს ქალიც ხომ თითქმის დაობინავა და ნუ თუ კმაყოფილი არ იყო?!.

II

ანანა ლომინაძის ცოლის ცხოვრება ყოველის მხრივ შესანიშნავი იყო. თუმცა აზნაურებში ირიცხებოდა, მაგრამ მარტო ეს ხარისხი იოტის ოდნადაც არ უმსუბუქებდა მძიმე ცხოვრებას. ბევრის გლეხ-კაცის ცოლის ბედნიერსა და დამშვიდებულს ცხოვრებას შენატროდა. ბოლოს, სიღარიბეს ქმრის სიკვდილი ზედ დაერთო და ანნას ბედის ჩარხი სულ ერთიანად უკუღმა დატრიალდა. სამს შვილში მხოლოდ ორის წლის პატარა კატო-ღა დარჩა და იმას შემოავლო თავისი ყმაწვილ-ქალობა... მაგრამ მაინც სულგრძელობა არ დაჰკარგა, რა-კი ნახა, რომ თავის მეტი პატრონი და მარჩენელი არავინ გააჩნდა; თვალი გაახილა, ხელი გამოიღო და რაც-კი შეეძლო, მუშაობა დაიწყო: თავადიშვილების ოჯახებში დაიარებოდა, უკერავდა, ურეცხავდა, და ასე გამოდიოდა იოლად. რასაკვირველია, ყველას ეკოდებოდა და საბრალო კატოს ალერსიანად ექცეოდნენ.

გავიდა რამდენიმე წელი. კატოს ხანი ემატებოდა. თუმცა ძალიან ლამაზი გოგონა დადგა, მაგრამ ანანას მაინც ნაღველი არ ეხსნებოდა გულიდგან. „ჩვენისთანა უბედურებისთვის განა სახე ნიშნავს რასმე?... გამოჩნდება ვინმე სულელი, რომ ჩემს კატოს ყურადღება მიაქციოს?! ვაი შენს მტერს!..." ნაღვლიანად იტყოდა და თვალები უნუგეშოდ გაუშტერდებოდა.

— არა, ჩემი ასე წუწუნიარ იქნება, შვილს უფრო გავაუბედურებ. დეე, რაც მოსავალია, მომივიდეს. როგორც უნდა მიცნოს სოფელმა, ყურს არ ვათხოვებ, უნდა ვიცრუო ყველასთან, მეტი ღონე არ არის, თორემ პატიოსანი ადამიანი ვინ გაბედნიერებულა, რომ მე გავბედნიერდე?!.

ანანამ მოუმატა მუშაობას. ორიოდე გროშით ჰირნახული დაიკვეთა, სამი-ოთხის წლის განმავლობაში ერთ ათიოდე თუმანს მოუყარა თავი, გაჰყიდა ქოხ-მახი და რაც რამ ებადა ქმრისა, და ჩავიდა გორში, ეგების იქ უფრო მეტად ეშრომნა და კატოსათვისაც ვინმე ხეირიანი პატრონი აეჩინა. სოფელში დიდი ფულის ხმა დაუვარდა ანანას, თითონაც ყველას არწმუნებდა, რომ ორმოც-სამოც თუმნამდე მაქვს კატოს სამზითვოდ მომზადებულიო. რასაკვირველია, ამ ხმაზედ ყველამ ყური სცქვიტა. „ლამაზი ქალი, სამოცი თუმანი ფულიც ქისით მზა-მზარეულად, თქვენმა მზემ, კაი რამ არისო!", ამბობდნენ საცოლონი და გარს ევლებოდნენ ანანას: მაშუალს მაშუალზედ ჰგზავნიდნენ, მაგრამ ეს-კი არა სჩქარობდა ქალის გათხოვებას.

— ეჰ, რა ვქნა, მართილია ღარიბი ვარ, მაგრამ მაინც იმედია, ღმერთი თავისს რუზღს არ მომაკლებს. გათხოვება-კი რომ დავაჩქარო, ვაი თუ თვალები ამებას, ვერ გავარჩიო რიგიანად და საუკუნოდ გავაუბედურო შვილი... არა, არა, დავიცდი პატარას...

ოჰ, ბევრი დღე და კვირა გაუტარებიათ ამათ ცალიერს მშრალს პურზედ, მაგრამ ვინ რა იცოდა, ვინ იყო შემბრალებელი!?.

— მოვითმინოთ, თავს შემოგევლოს დედაი. ღმერთი ისე ხელს არ აიღებს, რომ ცოტათი მაინც არ შეგვიმსუბუქოს ეს უბედური ცხოვრება!— ეტყოდა მწარედ დედა...

კატო გულ-მაგრად უდგა თავის გაჭირვებულს ცხოვრებას და არამც თუ არ უ'ივლია დედასთან, პირ-იქით, ის ამხნევებდა კიდეც. ამასობაში ზოგიერთა მათხოვარმა მუქარაც შემოუთვალა ანანას,—„თუ არ მოგვცემ ქალს, ძალათი წავართმევთო". ამაზედ უფრო გადაირია საბრალო დედაკაცი. აბა, გორში ვინ გამოიღებდა ამისთვის თავს! „მეტი ღონე არ არის, ისევ ჩემს სოფელს უნდა მივატანოო", წარმოსთქვა ოხვრით და ერთს მშვენიერს დღეს ისევ ს—ში ამოვიდა. მადლის გულისათვის ნათლი-მამამ მისცა ბინა თავისს სახლში და დედაშვილნი როგორც იყო მოთავსდნენ. აქ განაგრძეს თავიანთი არა-სანატრელი და უგემური ცხოვრება და დაღონებულნი უიმედოდ შესცქეროდნენ მერმისს!...

ამასობაში კარგა ხანმა გაიარა. კა-

⁂ ჩვენ მოგვივიდა სოფ. მეჯრუხევში გამართულ წარმოდგენის წმინდა შემოსავლიდგან დარჩენილი 15 მან. განსვენებულ ისტორიკოსის დ. ბაქრაძის სახელობაზედ დაარსებულ ფონდის სასარგებლოდ. ამ ფონდისა დღევანდლამდე გვქონდა 1770 მან. 29 კაპ., ამიანად შესდგა 1785 მან. 29 კაპ.

⁂ ამ წლის 17 ივნისს „წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორსა სთხოვა ქ. ბათუმში ლოტარიის გამართვის ნებართვა. როგორც ნამდვილად შევიტყეთ, 20 აგვისტოს „წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“ უკვე ნება-რთვა მოუვიდა ხსენებულ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორისაგან, რომ ბათუმში ლოტარია გაჰმართოს ან ამ აგვისტოს დამლევს და ან სექტემბრის პირველს რიცხვებში.

⁂ გუშინ, ამ თთვის 23, ქალაქის გამგეობის წევრთა საგანგებო კრება მოხდა ქალაქის თავ. არღუთინსკი-დოლგორუკის თავმჯდომარეობით. კრებამ განიხილა, თუ რა ღონისძიება უნდა იქმნას მიღებული ჩვენის მილის წყლის გასუფთავებისათვის. კრებაზე მიწვეული იყო აგრეთვე ქალაქის სასანიტარო ექიმი ბ-ნი ვართანიანცი. კრებამ დიდის ბაასის შემდეგ დაადგინა, სთხოვოს ტფილისში მცხოვრებელთ, რომელთა სახლებშიაც გაყვანილია წყალი, რომ მათ წყალი მხოლოდ სასმელად იხმარონ და არა ბაღების მოსარწყავად, რომელზედაც დიდ-ძალ წყალსა ჰხარჯავენო, სარეცხის დასარეცხად და სხვა ამ გვარ საჭიროებისთვის. თუ რომ მცხოვრებელნი ამ თხოვნას დაარღვევენ, მაშინ ქალაქის გამგეობა იძულებულ იქნება მოუსპოს წყალი და სახლებში აღარ აძლიოს. ამასთა-
[illegible]
ტფილისის პოლიციის უფროსს, რომ ამ თთვის 24-დამ პოლიციამ მცხოვრებელთ მდ. მტკვრიდგან დროებით წყლის აღების ნება დართოს ბაღების მოსარწყავად და სარეცხის გასარეცხადაო. ამ გზით ქალაქის გამგეობას იმედი აქვს, რომ ქალაქს დღეში 300,000 ვედრა წყალი, რომელიც ეხლა ავჭალიდამ მოდის, მცხოვრებთ ეყოფათ და ამასთანავე სუფთა წყალიც იქნებაო.

⁂ რა საცოდაობა ხდება საქართველოს სასინოდო კანტორაში, მხოლოდ ღმერთმა უწყის, ან იმან, ვისაც აქ საქმე აქვს. დღე ყოველ ამ კანტორის კიბე-დერეფნები და ოთახები ავსებულია მთხოვნელებით, რომელნიც ვინ იცის საიდამ არ ჩამოსულან მოწმობების ასაღებად მას შემდეგ, რაც სათხოვარის გამოგზავნის შემდეგ ილაჯი გაწყვეტიათ ლოდინით და პასუხის მიღებაც-კი არა ჰღირსებიათ. ჩამოსულან აქ იმ იმედით, რომ ორ-სამს დღეში საქმე გააკეთონ და მერე ისევ თავის ოჯახს დაუბრუნდნენ, მაგრამ ორი-სამი კვირა რჩებიან და მაინც არას ხდებიან, რადგან თავის რიგს ვერ მოსწრებიან. შორის ადგილებიდგან მოსულები შემოგვჩივიან: „იმ ანგარიშით ჩამოვედით, რომ რამდენსამე დღეში საქმე გაგვეთავებინა; ის-კი არა, სარჩო-საკვები ხარჯი აღარ გაგვაჩნია-რა, უკანასკნელი ნივთიც-კი დაგვიგირავებია და მაინც ვერას გავხდით. თითო დაბადების მოწმობის მიღება ოთხი-ხუთი თუმანი გვიჯდებაო“.

⁂ რუსეთის სატეხნიკო საზოგადოება შუამდგომლობს საერო განათლების სამინისტროს წინაშე, რომ ქარხნებში და სხვა ამ გვარს დაწესებულებებში გარდასახადი იქმნეს შემოღებული და ამ
[illegible]
კლასები იქმნას გამართული ყმაწვილებისათვისაო.

⁂ თერგის მხრის მართველის, გენერალის კოხანოვის სამართველოს უთხოვნია ჩვენის ქალაქის გამგეობისათვის, შეგვატყობინეთ, რამდენს ახდევინებთ ქალაქის ბაზრებში შემოსულს სოფლელებს ურმებზე გადასახადსაო, ან თვით ქალაქის მცხოვრებლებს, თუ ამათაც გამოაქვთ ქალაქის ბაზრებში სავაჭრო რამეო. სამართველო იმასაცა სთხოვს გამგეობას, შეგვატყობინეთ როგორ ადევნებს ქალაქი თვალ-ყურს ამ გადასახადსაო.

როგორც ეტყობა, ქალაქ კავკაზშიაც განუზრახავთ ურმებზედ გადასახადის შემოღება. ჩვენის ქალაქის გამგეობა ამ დღეებში დაწვრილებით აცნობებს ყველაფერს ამის შესახებ.

⁂ გუშინდელი ცნობა ქალაქის თავის ჩამოსვლის შესახებ მართალი არ გამოდგა: თავ. არღუთინსკი-დოლგორუკი უკვე ჩამოვიდა და შეუდგა კიდეც თავისის თანამდებობის ასრულებას.

⁂ ამ თთვის 20 ტფილისის ოლქის სასამართლოში განირჩა სამის ყასბის საქმე. ყასბებს სარქის ამრუზოვს, ყული-ჰასან-ოღლის და სამედ-იბრაგიმ-ოღლის ჰბრალდებოდათ ქალაქის საყასბოში მაკე ძროხების დაკვლა, რაც ტფილისის პირუტყვთა მფარველ საზოგადოების მიერ აკრძალულია, რადგანაც მაკე საქონლის ხორცი ადამიანისათვის მავნეა და მეურნეობაც ბევრსა ჰზარალობსო. წელიწადში 18—20 ათასამდე მაკე ძროხა იკვლება საყასბოში და ამდენივე ხბო უსარგებლოდ იხოცება. ოლქის სასამართლომ მოსამართლის ბ-ნ ზუბალოვის გადაწყვეტილება დაამტკიცა, რომლის ძალითაც ყასბებმა ჯარიმა უნდა გადაიხადონ და ან ხუთის დღით (ციხეში იქმნენ დაპატიმრებულნი.

⁂ ერთი უბანია ჩვენს ქალაქში, რომელსაც ახალ ჰოლანდიას ეძახიან. როგორც გაზ. „ნოვ. ობოზრ.“-ეს შეუტყვია, ამ უბანში მცხოვრებთ კარგი ამბავი არ მოელით. რამდენიმე ნაწილი ამ უბნისა ერთს დროს გენერალს არწრუნის ეკუთვნოდა. ეს მიწები ეხლა შეუსყიდია ვიღაც ვ—ს. ამ მიწებზედ ვადით დასახლებულან ბევრნი, გაუშენებიათ სახლ-კარი და ოჯახობა. მომავალის წლის იანვარში ბევრს ამათგანს იჯარის ვადა უთავდებათ და ახალი პატრონი მიწებისა უცხადებს დასახლებულებს, რომ ან სამჯერ უფრო მეტი მაძლიეთ გადასახადი, ანა რა-და, აიბარგენით ჩემ ადგილიდამაო.

ადვილად წარმოსადგენია ამ ადგილებში დაბინავებულ მოსახლეთა მდგომარეობა, რომელთაც, ვინ იცის, უკანასკნელი თავის შეძლება აქ ჩაუყრიათ და ეხლა ეუბნებიან: აიყარენით, თუ არ გინდათ, და ადგილი განათავისუფლეთო.

⁂ საფილოქსერო კომისიას კარგი აზრი მოსვლია: მოკლე ხანში კახეთში განსაკუთრებით მცოდნე კაცს გაჰგზავნიან, რომ იქ სოფელ-სოფელ იაროს და ქართულად განუმარტოს ხალხს როგორც ფილოქსერის შესახებ ცნობები, აგრეთვე ვაზის მკურნალობაც. (გაზ. „ტფ. ლისტოკ“-ი).

⁂ „კავკაზ“-ს შეუტყვია, რომ პეტერბურგში ამ ჟამად ერთი ინჟენერი, რომელსაც წინად კავკასიაში უმსახურნია, იმის პროექტის შედგენას შესდგომია, რომ ტფილისში გასასუფთავებელი არხები გაკეთდეს. როგორც გაზ. ამბობს, პროექტი ენკენისთვისათვის მზად იქნება და დაუყოვნებლივ გამოუგზავნის ტფილისში ქალაქის გამგეობასაო.

## არჩილური, შვიდ-თავი

(საამდროო ამიცანები)

—

ღარიბს საყრმო მწერლობაში ტურფა წიგნი შემოჰქონდა,
ულონობას არ იმჩნევდა,—სვრელი გაქონდ-გამოქონდა;
ლამაზობით, ნახატობით მსგავს წიგნთ ერთად მოიწონდა;
ამბით, ცნობით, არაკობით მოლაღობდა, ფერად ჰქონდა,
ძირი ღარში რომ ჩაეგდო,—საქმე დიალ კარგი ჰქონდა,
ეკლიან გზას მარტო მსვლელი განა-ლამცა დაგვიღონდა.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. მეჯრუხევი.** კარგა ხანია, რაც მეჯრუხევის ახალგაზრდობამ განიზრახა საქველ-მოქმედო აზრით წარმოდგენის გამართვა, მაგრამ ამ ყაჩაღების ხმამ ისე დააშინა მეჯრუხეველები, რომ შინიდგან გარედ ვერ გამოდიოდნენ და ერთმანეთთან მისვლა-მოსვლაც-კი შესწყვიტეს დროებით, ასე რომ წარმოდგენის გამართვა ფუჭი იქნებოდა ასეთ დროს. აი განთავისუფლდა ხალხი ავაზაკებისაგან და აქაურმა ახალგაზრდობამ გამართა წარმოდგენა 11 აგვისტოს, დაუვიწყარის ისტორიკოსის, დიმიტრი ზ—ძის ბაქრაძის სახელობაზედ დაარსებულ ფონდის სასარგებლოდ. წარმოადგინეს „კატა აწონა“, კომედია 2 მოქ. მელვინეთხუცესისა და მე-3 და მე-5 მოქმედება „მათიკო“, დრამა ავ. ცაგარლისა. წარმოდგენის შემდეგ წაკითხულ იქმნა ლექსები და სიმღერები. ხარჯს გარდა წარმოდგენიდგან დარჩა 15 მან.

რაც შეეხება მოთამაშეთ, ეტყობოდათ, რომ არ დაეზოგნათ შრომა

---

ტო თვრამეტის წლისა შეიქმნა და, რასაკვირველია, მზა ქალი იყო გასათხოვრად. ერთხელ ჩვეულებისამებრ კვირაძალზედ ქალებს საყდრის მახლობლად ლხინი გაეჩაღებინათ და მთელის სოფლის ყმაწვილი, თუ მოხუცი, ყველა იქ მიხვეტილიყო და სეირს უყურებდა. დარბაისელი და ხანში შესული კაცები მოშორებით მხარ-თეძოზედ წამოწოლილიყვნენ და ჩიბუხის წევით თვალს ადევნებდნენ მოთამაშეებს... აგერა კატოც გამოვიდა... ამის დანახვაზედ ერთმა, ვიღაც უცნობმა მოხუცებულმა, ხელი წაჰკრა გვერდზედ მჯდომს და იკითხა:

— რა ლამაზია! ვისი ქალია ესა, ნათლიმამ?...

— ზურაბ ლომინაძის ქალია... მართალია, ობოლია, მაგრამ მზითევი-კი კარგი აქვს...

— მამაშვილობამ, თუნდა არაფერიც არა ჰქონდეს-რა, მაინც ისე მომწონს ეგ ქალი, რომ ჩემს შვილს დიდის სიამოვნებით შევრთავ... ხვალ ხომ არა იქნება-რა და ამ ორ-სამს დღეში უეჭველად აქ მოვა ჩემი ბიჭი და გასინჯავს!—გარდაწყვეტით წარმოსთქვა მოხუცმა.

ანანამ და იმისმა ქალმა ამ ამბისა არა იცოდნენ-რა. ეს მოხუცებული გახლდათ სურამში მცხოვრებელი გლეხი ბლიაძე, რომელიც კარგა ღონივრად სცხოვრობდა. ერთის ვაჟიშვილის მეტი არა გააჩნდა-რა და ისიც ხაშურში გაემწესებინათ „მაშინისტად“. აი, სწორედ ამისთვის ამზადებდა იღბალი კატოს. მესამე დღესვე ჩამოიჭრა გაბო სურამიდგან თავის ნათესავისას, მახლობლად მდებარე სოფელ ბ—ში, წამოიყვანა თან და ეწვია მიხა თედელურს, რომელიც ანანას ნათლიმამა იყო. რასაკვირველია, მიხამ მაშინვე გააგებინა ამათი განზრახვა ანანას და მიიპატიჟა თავისს სახლში.

კატომ უარი არა სთქვა, მეტის-მეტად გაუტყდა გული ოხრობისაგან და გარდასწყვიტა მისთხოვებოდა, თუ ცოტაოდენს სიკეთეს არის მაინც დაატყობდა. გასწია კატომ მიხას სახლისკენ, მაგრამ მუხლები საშინლად უკანკალებდა, სახე გადაუფითრდა, გულმა ძალზედ ძგერა დაუწყო. „ოჰ, რა უბედურს დღეს არის ქალი გაჩენილი!..“ წარმოსთქვა კატომ, პირზედ ხელები მიიფარა და პატარა ხანს შესდგა კარებზედ... შემდეგ როგორც იყო ძალა მოიკრიბა და თამამად შევიდა. „ეს რაამბავია?..“ დაინახა თუ არა გაბო, გულიდგან რაღაც სიმძიმე მოეშვა; მისმა სახემ მიიზიდა და წინანდელი უსიამოვნო გრძნობა სიამოვნებამა და მხიარულებამ შესცვალა... გაბო წამოდგა, მივიდა, ხელი ჩამოართვა და მოკრძალებით უთხრა:

— კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა.

ამათს ლაპარაკში სადილობამაც მოატანა. გულ-კეთილმა ნათლიმამამ არა დაახარჯვინა-რა ანანას და თითონ გაუმასპინძლდა გულ-უხვად, რამდენადაც-კი შეეძლო. სადილი აიღეს თუ არა, კატომ ვეღარ შესძლო სიცხეში ჯდომა და კარში გამოვიდა.

— აბა, ნათლიდედ, რას აძლევ მზითვად შენს ქალსა? — ჰკითხა სასიძოს ნათესავმა ანანას.

— გენაცვა: რაც-კი რამ მაბადია. მაშ ვილასთვის მინდა, თუ არ მაგისთვის?!

— ეგ როგორი სიტყვაა? იქნება სულ არა გაქვს-რა! განაგრძო პირველმა.

— აი, შვილო, ორმოცი თუმანი ფულად აქვს ჩემს ქალს და ოცის თუმნის მზითევსაც მოვუხერხებ; სხვა არ შემიძლიან!.. წარმოსთქვა ანანამ და თვალი თვალში გაუყარა გაბოს, რომელსაც, როგორც ეტყობოდა, გულში იამა. „ეს კაი ქალი და სამოცი თუმანიც... შენმა მზემ, ბედნიერი ვარო“!! იფიქრა და დაუმატა:

— აბა, მოამზადეთ ყველაფერი... დღეს ხომ კვირაა, თუ მომავალ კვირისთვის ვერ მოასწრებთ, მესამეზედ უეჭველად უნდა მზად იყვნეთ.

— აგრე, გენაცვალე, დაკვეთილები მაქვს, ავკრებავ და ჩავაბარებ...

ამასობაში კატოც შემოვიდა, ამათ შესწყვიტეს მზითევის შესახებ ლაპარაკი. გაბომ ჯიბიდგან სამაჯური და ბეჭედი ამოიღო და საცოლოს მიართვა. ანანა სიხარულით ფეხზედ აღარ იდგა. მალ-მალე პირჯვარს იწერდა და ადიდებდა უფალს: „ვმადლობ შენს განგებას, ღმერთო, რომ ასე უეცრად ბედნიერება მომივლინეო!“

სადამომდის გაბო არ წასულა. რაც ხანი მიდიოდა, მით უფრო გაიცნეს ერთმანეთი ახალმა დანიშნულებმა. თუმცა კვირა დანიშნა გაბომ, მაგრამ გულმა აღარ მოუთმინა და ხშირ-ხშირად დაიწყო სიარული. კატოც, რასაკვირველია, კმაყოფილი იყო თავის ბედისა, მაგრამ ანანა მაინც ნაღვლიანად დადიოდა. რაც უფრო ახლოვდებოდა დანიშნული ვადა, მით ამის სახეს თანდათან უფრო მოუსვენრობა ეტყობოდა და თითქმის მთელს ღამეებს თეთრის თვალით ათენებდა, კვნესოდა ⁊ იყო ერთს ვაი ვაგლახში. კატომ ყურადღება მიაქცია და გაოცებული ეკითხებოდა მიზეზს, მაგრამ ანანა ხან თავისს ტკივილს ამიზეზებდა და ხან სხვა რასმე.. აგერ გათენდა კვირა დღე, საღამოდაც მიიწურა და ყოველს წუთს მოელოდნენ გაბოს. ანანამ თავი ვეღარ შეიმაგრა და გარდასწყვიტა ქალისათვის გაეზიარებინა ის ვარამი, რომელიც გულს უწვავდა.

III

— დედი, ვახშმად ხომ გაქვს რამე?.. ჰკითხა კატომ, როდესაც ანანა ფიქრიანად ჩაჯდა იქვე მის გვერდზედ.

— ვახშამი-კი არის, შვილო, მაგრამ ამაზედ მეტი აღარ შემიძლიან, დავილიე, ნახევარი სიცოცხლე წამერთვა; სანამ ჯვარს დაიწერდე, მე-კი ჩემი დამემართება-და, მერე ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ...

—რა ამბავია?—შეკრთომით იკითხა კატომ და სახეზედ ჩრდილმა გადაჰკრა.

— რა-და, სიძესთან პირ-ნათლად არა ვარ... მოვატყუე...

— მოატყუე?!.. რითი?.. ოჰ, დედი, ეგრე კილაკავად ნუ ამბობ, თორემ გული მისკდება. ერთბაშადა სთქვი, რა ამბავია?—წარმოსთქვა შეშინებულმა კატომ და ჩააცეცა თვალები დედას.

— სამოც თუმანს დავპირდი და ათს ძლივას ვახერხებ..

—ოჰ!.. განწირულებით ამოიკვნესა კატომ და მიიფარა ხელები პირზედ.

— ჰო, შვილო, მოვატყუე, განაგრძო აღელვებულის კილოთი ანანამ... მოვატყუე!—დაჟინებით განიმეორა: და არ ვიცი, როგორ იქნება ჩვენი საქმე... ღმერთია მოწამე, ჩემი ბრალი არ არის... ოჰ, რა ძვირად მიზის ეს მოტყუება!..

— რადა?!. რა ძალა გადგა მერე?.. თუ ფულზედ დაგიწყო ლაპარაკი, რატომ პირდაპირ არ უთხარი, რომ ღარიბი ვიყავი და არა მქონდა-რა?..

— ეგ რო მეთქვა, ეხლა შენ იმისი აღარ იქმნებოდი...

— განა მაგისთანაა გაბო?.. მაშ ფულისათვის მირთავს? უფრო ცუდი, დედი. რატომ მაშინვე არ მითხარი, თუ მაგრე იყო საქმე? საშინლად

და მეცადინეობა, და სცდილობდნენ დაეკმაყოფილებინათ საზოგადოება. თუ როლებში ცოტა სისუსტე ეტყობოდათ, ისევ იმათ, რომელნიც ჯერ პირველად გამოდიოდნენ სცენაზედ. იმათ-კი, რომელთაც არა ერთხელ უთამაშნიათ მეჯრუხევის სცენაზედ, ძალიან კარგად შეასრულეს თავისი როლები.

საზოგადოება კვლავინდელზედ უფრო მომეტებული დაესწრო, აზნაური და გლეხი, მხოლოდ, ჩვენდა სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერ მოიზიდა აქაურმა წარმოდგენებმა მეჯრუხევის „მაღალი“ საზოგადოება, რომელთაგანაც უფრო მოსალოდნელი უნდა იყოს თანაგრძნობა და რომელნიც მოვალენი არიან სხვებს ემაგალითნენ ამისთანა კეთილს საქმეში. ამის მაგიერ კვლავინდებურად, ზედაც არ შეჰხედეს ამ საზოგადო საქმეს და არავითარი შემწეობა არ აღმოუჩინეს.

დიდის მადლობის ღირსნი არიან ეკატერინე ესტატეს ასული მამუჩაშვილისა, რომელმაც მხურვალე მონაწილეობა მიიღო წარმოდგენის გამართვაში და აგრეთვე დახმარება აღმოუჩინა სახლისა და სხვა საჭირო ნივთების თხოვნით. აგრეთვე მადლობას ვუძღვნით ანდრია გაბრიელის ძეს ჩუბინაშვილს. საზოგადოდ წარმოდგენამ კარგად ჩაიარა და საზოგადოებაც დიდი მადლიერი დარჩა მოთამაშე ყმაწვილებისა, რომელთაც არა ერთხელ გაუმართავთ კვლავაც მეჯრუხევში წარმოდგენა.

დამსწრე

---

**სოფ. პერევისა** (შორაპნის მაზრა), 5 აგვისტო. ამას წინად თქვენს გაზეთში მოხსენებული იყო, რომ სოფ. პერევისაში სოკოს ძებნის დროს სოფლელები ავაზაკებს წააწყდნენ ტყეშიო. ხევისთავებმა რომ ეს ამბავი შეიტყეს, დაიწყეს გამოძიება: მართლა ავაზაკები იყვნენ ისინი, თუ არაო. იმ ავაზაკებს მალე გამოაჩნდათ ავაზაკური ნიშნები. დღისით დაუხვდნენ ერთს მოხუცებულს საძალიხევში და ყანაში მიმავალს სადილი წაართვეს. შეიტყეს თუ არა ხევისთავებმა ეს ამბავი, მაშინვე გამოაცხადეს, რომ ხვალ უსათუოდ შეიკრიბეთ შეიარაღებულნი და ყაჩაღების დასაჭერად უნდა წავიდეთ საძალიხევშიო. შეუთვალეს აგრეთვე სვერის მამასახლისს, რომ იმასაც მოეშველებინა ხალხი. მეორე დღეს დილით შეიკრიბა მარტო პერევისში ოთხმოცამდის შეიარაღებული კაცი: თოფებით, ხანჯლებით, ხმლებით, დამბაჩებით და ცულებით. ერთი ამდენიც სვერის მამასახლისმა შეჰკრიბა. ეს ამოდენი ხალხი წავიდა და საძალიხევის ტყე-გამოქვაბულებს ალყად შემოერტყნენ და ძებნა დაუწყეს, მაგრამ რას იპოვნიდნენ. თურმე ავაზაკებს მცნეურის მცხოვრებელთაგან შეეტყოთ დაწვრილებით ის ამბავი, რომ ხვალ თქვენს საძებრად მოდიან საძალიხევშიო და, აბა, თავს უშველეთო. ყაჩაღები გაქცეულიყვნენ საძალიხევიდგან და წინწკილაზედ გადასულიყვნენ. მეორე დღეს, როდესაც ხალხი იმათ საძალიხევში დაეძებდა, სწორედ იმ დროს იმ ყაჩაღებს წინწკილაზედ გაეძარცვათ ზესტაფონიდგან მომავალი მუშები, რომელთაც შავის-ქვის გაეყიდნათ თითო-ოროლა გროში აეღოთ და მიჰქონდათ თავის ცოლ-შვილში.

ხევისთავებმა დილიდგან ღაწყებული საღამომდის ეძებეს ყაჩაღები საძალისხევში. რომ ველარ ნახეს და ძალიანაც დაიღალნენ, შინ დაბრუნება დააპირეს. ერთმა მათგანმა წამოიძახა: ,,ეს თოფები და დამბაჩები ავაზაკებისთვის გვქონდა გატენილი; რაკი ველარ ვნახეთ, იმათ სახელობაზედ დატენილს თოფებს შინ ნუ წავიღებთ, აქავ დავცალოთ; თუ ამ ახლო-მახლო არიან, უსათუოდ გაიგებენ, რომ ვსდევნით, და სხვა სოფელში გადაცვივდებიანო.‘‘ ,,კარგი, კარგიო‘‘, მიაძახეს სხვებმაც და დაუშინეს თოფები კლდე-ღრეებს. დასცალეს თუ არა თოფები, გაემგზავრნენ შინისაკენ და ერთმანეთს მასხარადა გდება დაუწყეს: ,,აი, შენი დაჭერილი ყაჩაღი შეარცხვინოს ღმერთმაო!‘‘

მეორე დღეს გავარდა ხმა, რომ გუშინ სადილობის დროზედ ავაზაკებს წინწკილაზედ მეურმეები გაუძარცვავთო. ყველამ სთქვა, რომ სწორედ ის ავაზაკები იქნებოდნენო, და გულზედ ცოტა არ იყოს ეოხათ: იქნება აქეთ აღარ მობრუნდნენო. მაგრამ ჩქარა შეეცვალათ ეს სიხარული მწუხარებად, რადგან ორის დღის შემდეგ გიგუნა ჩაჩანიძემ გამოაცხადა, რომ წუხელის სხვაგან ვიყავი და გვიანობამდის შინ არ დავბრუნებულვარო. ჩემი სახლის სიახლოვეს, ტყის პირას, რამდენიმე კაცი ჩურჩულებდა, შევატყე, რომ ისინი სანდო კაცები არ იყვნენ და მივაძახე: „რომელი ხართ თქვენა-მეთქი?“ იმათ დამიძახეს: „რა გაკითხებს, ჩვენ ვინცა ვართ: წადი შენს გზაზედ, გაეტიე, თორემ რაც მოგივიდეს, შენს თავს დააბრალეო!“ მე, რასაკვირველია, შიშმა ამიტანა და ფეხი გამოვუჩქარე. შინ რომ მივედი, ცოლი გულშემოყრილი დამიხვდა. როდესაც გამოვიკითხე, ცოლმა მიამბო, რომ ვიღაც სამი შეიარაღებული კაცი მოვიდა ვახშმობის დროს და საჭმელი მომთხოვეს. მე ავიღე რაც მჭადები მქონდა ვახშმისთვის და მასთან ერთი ქათამიც მივეცი. ასე მითხრეს: „ჩვენ ყაჩაღები ვართ. ასე უთხარი შენს მეზობლებს, რომ ჩვენი ნუ ეშინიათ, ოღონდაცკი გვაჭამონ რამე, როცა მოვთხოვოთ ხოლმე. ამასთანავე იმ თქვენს ჭალატყეობას ყოფნას ნუ დაგვიშლიან; კაცს-კი არავის მოვკლავთ, თუ ძალიან არ გაგვიჭირდა და სარჩო ვიშოვეთო“.

ავაზაკები წასულიყვნენ და იმ დროს მეც შევხვდი იმათ გზაზეო. ამ სიტყვებ გიგუნამ დაუმატა: „მე იმიტომ შევატყობინეთ, რომ ფრთხილად იყვნეთო“.

როდესაც ეს ამბავი გაათავა გიგუნა ჩაჩანიძემ, ყველას შიშის ქარმა დაურბინა, მაგრამ ზოგიერთმა არ დაიჯერა, სიცრუე იქნება, თორემ გუშინწინ იმათ მეურმეები გაძარცვეს წინწკილაზე და ასე ჩქარა აქ როგორ-ღა მობრუნდებოდნენო. იმათი დასარწმუნებელი ამბავიც ჩქარა მოხდა. ერემია წერეთლის შვილი დადიოდა მაღალს სიმინდებში და უცებ იმ ყაჩაღებს წააწყდა. ჩასცივებია, მითხარით და მითხარით, ვინა ხართ თქვენაო. ერთს იმათგანს ამოუძვრია ხანჯალი და გამოჰკიდებია. ყმაწვილს ძალიან შეჰშინებია და იმ დღეს აქეთ ლოგინად ჩავარდა. ამის მეტი ჯერ არაფერი ნავლული უქნიათ და ამას იქით რა იქნება არ ვიცით. ზოგიერთი ამბობს, რომ შეძლებულს აზნაურებს ავაზაკებისაგან შემდეგის შინაარსის წერილი მოუვიდათ: „უკეთუ არაფერს გამოგვიგზავნით, ერთის ღამის ვახშამი ხართო“.

პერევისელები ასეთს გაჭირვებაში ვართ ჩავარდნილი და ყურის მგდებელი-კი ჯერ არსაიდგანა სჩანს. თითონ სოფლელებს უნდოდათ წასვლა ხელმეორედ იმათ დასაჭერად, მაგრამ ავაზაკებმა შემოუთვალეს, რომ სასიკვდილოდ გვაქვს თავი გადადებული, თუ მოგკლავს ვინმე ჩვენთვის გასახარელიც იქნება, მაგრამ თქვენ, მცხოვრებნო პერევისისანო, კარგად გახსოვდეთ, რომ ისე არავის დავნებდებით, თუ დაჭერის დრის ათიოდე კაცი მაინც არ მოვკალითო. ამან ყველა შეაშინა და იმათ დასაჭერად თავი აღარავინ გამოიდვა. შიში კიდევ არაფერი, ზოგიერთი გულადიც გამოჩნდა, მაგრამ მოთავეობა არავინ გაუწია. „ურემი რომ გადაბრუნდება გზაც მას უკან გამოჩნდებაო“, ნათქვამია: სანამდის ბოროტ-მოქმედება არა ჩაუდენიათ-რა, ეხლა უნდა აჰლაგმონ ისინი, თორემ წამხდარს საქმეს ველარაფერს უშველიან. იმათი დაჭერა და პოვნა საძნელო არ არის, თუ თავი გამოიდეს. სადაც ის ავაზაკები არიან ეხლა, იმ ადგილას სამი ისეთი ვიწრო კრიჭაა, რომ თუ იმაზედ არ გაიარეს, ისე, ფრთები რომ გამოისხან, მაინც ვერსად წავლენ.

ა. პერევისელი

---

## წვრილი ამბავი

ჩრდილოეთ ამერიკის შტატს კანზასში უმეტესად ქალებს ირჩევენ სხვა-და-სხვა თანამდებობაზედ და ქალაქის გამგეობის საქმეც თითქმის სულ იმათ აქვთ მიჩემებული. ამ მმართველ ქალების შესახებ საუცხოო ამბებს იუწყებიან გაზეთები. მაგალითებრ, ერთს პაწია ქალაქში, რომელშიაც გამგეობის საქმე ქალებსა ჰქონდათ მიჩემებული, ქალაქის თავს-ქალს ცეცხლის მქრობელ რაზმის უფროსი კაცი შეუყვარდა თურმე და ორივენი გაიქცნენ, ასე რომ ერთს მშვენიერს დღეს ქალაქი უთავოდ და უცეცხლის მქრობელ რაზმის უფროსოდ დარჩა. ამის გამო ამათ მოადგილედ ქალაქის თავად ამორჩეულ იქმნა მისს გარდნერი და, რომ კიდევ არ დამართებოდათ უწინდელისთანა ამბავი, ქალაქის ცეცხ-

---

მიკვირს, რად დამიმალა და პირდაპირ რატომ არ მელაპარაკა!.. ოჰ, ნუ თუ ეს ნიშნები სამოც თუმანში მომყიდა?.. მოვა და თავში ვახლი!

— მაშ არ იცი, შვილო, რო ეხლა ფულის დროა?.. იმას ემსახურება დიდი და პატარა, იმაში ჰხედავს ბედნიერებას და საქაო სამოთხესაც იქიდგან მოელის...

— შორს, შორს ჩემგან ყოველივე! მე ფულის მსხვერპლი არ გავხდები, დედი!.. გლახა ვარ, და ისევ ჩემისთანა გლახას ამოვირჩევ... თუ-კი აგრე იყო, რატომ არ გამაფრთხილე? ნუ თუ შენც ის გინდოდა, რომ სამოც თუმანში ისე მაჩანჩალად გავყოლოდი, გავყოლოდი მარტო იმისთვის, რომ ფული უჩემოდ არ წაიღებოდა?!.

— რა ვქნა, ღმერთმა ხომ უწყის, ეს მოტყუებაც შენის ბედნიერებისთვის მომივიდა, შვილო!..

კატო გაჩუმდა, რაღაც ფიქრმა წაიღო. შემდეგ გადაჰხედა ანანას, რომელიც გულ-ხელ დაკრეფილი მიმქრალებულის თვალებით მწარედ დასჩერებოდა დედამიწას... კატოს გულში მშობლის სიბრალული გაეღვიძა და უსაყვედურა თავისს თავს, ამ გვარის ლაპარაკით რად გავუორკეცე ვარამი მშობელსაო.

— დედი, ნუ დარდობ, — სთქვა მან ხმა მაღლა: მოვიდეს და ვნახოთ რას იტყვის... რაკი შენთან დაუწყია ლაპარაკი, უეჭველია, მე კიდევ მომერიდება. თუ რომ პირდაპირ უთხარი ყველაფერი, არა უშავს-რა... მერე მევიცი...

ეს სიტყვები მამკურნებელ მალამოდ მოხვდა ანანას დაწყლულებულს გულს. საცოდავს ეგონა, კატო გავამწარეო, მაგრამ რაკი ჰნახა, რომ შვილი არ ემდურებოდა, იმედის სხივით გაუბრწყინდა სახე. ეხლა-კი გაბედვით შეჰხედა ქალს, მტკიცედ უპასუხა: „ვეტყვი, მეტი რა ღონეაო“, და ქოხში შევიდა.

— ოჰ, ღმერთო, რა ძნელია ცხოვრება და მეტადრე ობლისა? — წარმოსთქვა მწარედ კატომ: საწყალი დედა!.. რა არ გამოიარა და არ გამოსცადა თავისს სიცოცხლეში... ჩემის ბედნიერებისთვის დახე რა იკისრა, მოტყუება!.. ოჰ, რა სირცხვილია!.. განა თითონაც არა ჰგრძნობდა, რომ საძაგლად იქცეოდა, მაგრამ ჩემმა სიყვარულმა გააბედვინა. ნუ თუ მართლა გაბოს არ ვუყვარვარ?!. რა ძალა ადგია მერე?.. მაშ თუ არ უნდივარ, განა არ შეუძლიან სხვისაგან უფრო მეტი ფული აიღოს... არა, არა, იმანაც რა ჰქნას: დაჰპირდა და მეტი ქონება ვის გადაუყრია, რომ უარი სთქვას... არა, გაბო არ მიღალატებს, განა იმისი სიტყვები წმინდის გულიდგან არ იყო ამოთქმული?.. თუ იმტყუნა-და, ჩემს სიცოცხლეში სხვას აღარ მივთხოვდები, შავს კაბას ჩავიცვამ და ისე ქვრივსავით ვიცხოვრებ...

ამ დროს გამოჩნდა გაბო, რომელიც მარტო მოდიოდა თავ-ჩაღუნული და მარცხენა ხელში ცხენის აღვირი ეჭირა.

— გაბო!.. სიხარულით წამოვარდა კატო, მაგრამ თავი შეიმაგრა და ისევ დაეშვა ძირს...

გაბომ თვალი შეასწრო, ჩაიღიმა, ცხენი ბოძზედ მიაბა და მოვიდა.

— კატოს გაუმარჯოს!.. როგორა ხარ, გენაცვა?.. ალერსით იკითხა და გამოართვა ხელი.

— კარგად, — უპასუხა ქალმა და თავი ჩაღუნა...

— აგრე არა სჯობიან... დედა სად არის?..

— სახლშია... ეხლავე გამოვა. რად დაიგვიანე აგრე? თითქოს დილით უნდა მოსულიყავი?..

— ბარემ მეც მინდოდა, მაგრამ ხომ იცი, საქმეში ვარ, სანამ უფროსი დამითხოვდა, მანამ დრომ გაიარა... უნდა დავაჩქაროთ ჯვარის წერა, თორემ ხშირად სიარული არ შემიძლიან.

— გაბო! — გაუბედა აკანკალებულის ხმით კატომ: ასე მოშორებით რად წამოხველ, ნუ თუ იქვე ახლო ვერ იშოვნიდი სამოც თუმნიანს ქალს?..

გაბომ გაოცებით შეხედა.

— რას ამბობ მაგას, ვერ გამიგია... სამოც თუმანს ვირთავ, თუ ქალსა? მე შენ მომეწონე და არა შენი ფულები...

— ვსთქვათ, სულ არა მაქვს-რა, მაშინ როგორ მოიქცევი?..

გაბომ ჩაიხარხარა...

— ვაი შენ ჩემო თავო!.. განა აგრე მიცანი, კატო?! ვერ გაიგე, მიყვარხარ-მეთქი?.. შენა ხარ ჩემი ბედი და ერთის ხელის ტანისამოსის მეტიც რომ არა გქონდეს-რა, მაინც სხვაში არ გაგცვლი.

— ოჰ, გაბო, ნუ თუ მართალს ამბობ მაგას?.. დაიძახა ალტაცებით კატომ: ნუ თუ ჩემი ბედნიერება ტყუილი არ არის?

გაბო გაოცებული შესცქეროდა და ვერ მიმხვდარიყო, თუ რას ჰნიშნავდა კატოს ლაპარაკი.

— გაბო! მე სამოცი თუმანი არა მაქვს, ათიც ძლივას შემიგროვდება...

— მაშ რად მომატყუა დედაშენმა?!

— ჩემის ბედნიერებისათვის მოუვიდა ეგ სიცრუე... გაბოჯან, მე მაპატიე შენი ჭირიმე!.. ასე ეგონა, ყველა ერთ ნაირია, ყველა ფულის მოყვარულიაო, და უნდოდა იმითი უფრო მოეზიდე. ეხლა განა არ იცის, რომ მოხვედი, მაგრამ სირცხვილით ველარ გამოდის... ვერ წარმოიდგენ რა ნაირად იტანჯება!..

გაბომ თავი ჩაჰკიდა ძირს.

— მე ძალას არ გატან, — დაიწყო ხელ-ახლად კატომ, ჩაფიქრებული გაბო რომ დაინახა: თუ გიძძიმს ღარიბის ქალის შერთვა და სამოცის თუმნისაგან მოელი ნეტარებას, არც აგრე გულ-ქვავი ვარ, რომ გაგაუბედურო. შენს ნიშნებს უკანვე დაგიბრუნებ. მართალია, ფარულად არ ვიყავით დანიშნულები, მაგრამ მაინც არა უშავს-რა. ჩვენ არ ვიქმნებით პირველნი და უკანასკნელნი... ძალას არავინ დაგატანს... ვინ გამოიდებს თავს აბა ერთის ობოლ-ოხერისათვის?.. მე შენს სინიდისს ვანდობ საქმეს, როგორც მან გირჩიოს, ისე მოიქეცი...

— კატო!.. რაებს ჰლაპარაკობ?!. შეჰყვირა ახლა-კი გულ-მოსულმა გაბომ: გულშიაც რომ გქონდა ფიქრად, პირად როგორ წარმოსთქვი. პატიოსნებას გეფიცები, ფულის სიყვარული არა მქონდეს. გიმეორებ, მე შენ მიყვარხარ... მაგრამ დედაშენი-კი ძალიან ცუდად მომექცა... თუ-კი ისეთ ცუდ კაცად ჩამთვალა, რატომ მაშინვე არ მომერიდა?... ხომ იცოდა, რომ ბოლოს მაინც უეჭველად მოვთხოვდი?.. იქნება მაგას ჰფიქრობდი და იმისთვისა ხარ აგრე მოწყენილი?.. გაბომ ხელი გამოართვა კატოს და თვალებში ჩააცქერდა. კატომ თავი ველარ შეიმაგრა და ქვითქვითი ამოუშვა. გაბომ ხელი მოჰხვია და მიიკრა გულზედ. ამ დროს ანანაც გამოვიდა და, როდესაც გადახვეულები დაინახა, ჩაიღიმა.

— მოდი, დედი, მოდი, — დაუძახა გაბომ. დასტკბი შენის შვილების ბედნიერებით. ნუ გეშინიან, ნურაფერს ნუ სწუხხარ... შენ ხვალისთვის მოემზადე, ჯვარი უნდა დავიწეროთ.

— რა ვქნა, შვილო... დაიწყო ათრთოლებულის ხმით ანანამ, მაგრამ გაბომ გააწყვეტინა.

— ვიცი, ვიცი, არა მინდა-რა შენი, მარტო ხვალ ერთი სადილის გაკეთება-კი დაგჭირდება.

ანანამ ხელები გაჰშალა და გაბოს შემოეხვია:

— შენ გენაცვალოს, ანანა, მაპატიე, შვილო, შენთან დამნაშავე ვარ...

— რა დროს ეგ არის, გამხიარულდი, ერთი პური მაჭამე, მშიან.

გახარებული ანანა ქოხში შევარდა.

— ოჰ, გაბო, განა მოელო ჩემს წვალებასა და უპატრონობას ბოლო?!.. არა მჯერა, სიზმარია...

— არა, გენაცვალე, სიზმარი არ არის... შენ იქნები ჩემი სიცოცხლე და თავს შევსწირავ შენდა გასაბედნიერებლად.

— რა ბედნიერი და დაუვიწყარი საღამოა ჩემთვის ეს საღამო... ჩაიჩურჩულა კატომ.

— ოღონდაც, ოღონდაც! — დაუმატა გაბომ და მხურვალედ დაეკონა თავისს სატრფოს...

ანასტ. ერისთავისა

ლის მქრობელ რაზმის უფროსადაც ქალი ამოირჩიეს, მისტრის იოანნა უაიტი, ასე რომ შეუკაქებისა და გაქცევის შიში აღარ იყო. კიოვოში ქალაქის თავად ამორჩეულია მისტრის მარგარიტა პაკსტონი. დაინიშნა თუ არა ეს ქ-ნი ქალაქის თავად, მაშინვე ბრძანება გამოსცა, რომ ყავახანები და სასმელების დუქნები სულ ერთიანად დაკეტილ იქმნასო. ყავახანის პატრონებმა სიცილი დაიწყეს და კვლავ ჭკაწრობდნენ უწინდელებრ, მოქალაქეებმა-კი თხოვნა შეადგინეს სასტიკ ქალაქის თავის მიმართ, რომ ნუ დაგვიკეტავთ ყავახანებსა და სასმელების დუქნებსაო. ამ თხოვნის მისართმევად ამოირჩიეს მისტერ პაკსტონი, ქმარი ქალაქის თავისა. როცა ეს კაცი ქალაქის გამგეობაში მივიდა, ამ დროს იქ კრება ჰქონდათ, ქალაქის თავს არ ეცალა, ლოდინი დასჭირდა და ამიტომ პაკსტონი გადავიდა იქვე ყავახანაში და ორიოდე ჭიქა გადახუხა. შემდეგ კვლავ წარსდგა თავისის ცოლის, ქალაქის თავის წინაშე, მაგრამ დააღო თუ არა პირი, რომ ორიოდე სიტყვა ეთქვა, ქ-ნმა ქალაქის თავმა, რომელსაც არყის სუნი ეცა, მაშინვე საშინელის სიბრაზით დაიძახა: „პოლიციელო მოკინს, გაიყვანე ეს ვაჟბატონი ესლავ აქედგან, ოქმი შეუდგინე და სამართალში მიეცი სიმთვრალისათვისაო“.

— ვენგრიაში ამას წინად ახალი მწვალებელთა დასი შესდგა, სახელად ნაზარეველთა დასი, რომელიც ზნეობრივად იქცევა, მაგრამ მეტად ახირებულად-კი. ამას წინად ამ დასის წევრებმა დიდს გაჭირვებაში ჩააგდეს თურმე დისმის მოსამართლე. მივიდნენ ამ მოსამართლესთან და სთხოვეს თურმე: „ნება მოგვეცით ჯვარს ვაცვათ ერთი ჩვენი ერთმორწმუნეთაგანი, რომელიც თავისს თავს ქრისტეს უწოდებს და ცად აღსვლა ჰსურსო“. დიდს ფიქრსა და საგონებელში ჩავარდა საბრალო მოსამართლე, მაგრამ ბოლოს, საქმე რომ კარგად მოიფიქრა, შემდეგი პასუხი უგო: „ჩემო მეგობრებო, მე თქვენის სარწმუნოებრივ რწმენათა წინააღმდეგი არა მეთქმის-რა. შეგიძლიანთ, რასაკვირველია, ჯვარს აცვათ თქვენი ამხანაგი, რომელიც ქრისტეს უწოდებს თავისს თავს, მაგრამ ეს-კი იცოდეთ, თუ სამის დღის შემდეგ ისევ არ აღსდგა, სულ ყველას ჩამოგახრჩობთ თითო-თითოდაო.“ როცა ეს სიტყვა დაასრულა მოსამართლემ, მწვალებელთა დასმა თავისი თხოვნა უკან გაიბრუნა თურმე.

— კობურგის სამხეცოში წარმოდგენის დროს ამას წინად ერთი სასაცილო ამბავი დატრიალდა. როცა დიდი სპილო გამოიყვანეს, ერთი ვაჟბატონი, რომელიც სავარძლის პირველს რიგში იჯდა, მეტად უზრდელად მოექცა. სპილო ჩვეული იყო მაყურებელთაგან პურისა, შაქრისა და სხ. მიღებას და ამიტომ, სხვათა შორის, ამ კაცსაც გაუწოდა თავისი ხორთუმი, მაგრამ ამან, რისამე მიწვდის მაგიერ ჩიბუხში ხელი ამოჰკრა თურმე. ამის შემდეგ მაშინვე ჰაერში რაღაცა შავმა გაიფრიალა და უკან სადღაც გადავარდა. ეს რაღაცა პარიკი იყო თურმე ამ უზრდელო ვაჟბატონისა: ნაწყენმა სპილომ თავიდგან პარიკი მოჰგლიჯა და შორს ისროლა. მაყურებლებმა ბევრი იცინის თურმე, ეს უცნაური მთვარის შუქი რომ ჰნახეს.

— მას შემდეგ, რაც თავადი ბისმარკი კისინგენშია, ისე დღე არ გაივლის თურმე, რომ მშვენიერი თაიგულები არ გამოეგზავნოს ვინმემ. ეს გარემოება დიდად აკვირვებდა ბისმარკს და ამას წინად კარგად უმასხარავნია კიდეც ამის შესახებ: „წინად კარდებს სულ არავინ მიგზავნიდა, ეხლა-კი ძალიან ბლომად მომდის. მასხლას, მებაღეები მაინც არიან მოგებაში ჩემის სამსახურიდგან დათხოვნითაო“.

## დეპეშა

22 აგვისტო

**პეტერბურგი.** დღეს პალესტინაში მიემგზავრება ექსპედიცია, რომელსაც პალესტინის საზოგადოებისაგან იქაურ ძველის ნაშთების გამოკვლევა აქვს მინდობილი.

„Новое Время“ იუწყება, ამ ახლო ხანში განკარგულება იქნება მოხდენილი, რომ ერობებმა გაჭირვებულ მკვიდრ შორის შემწეობის დარიგებასთან, პური აძლიონ სესხად და აგრეთვე სათესლეც გაჭირვებულს სამღვდელოებასა და საეკკლესიო კრებულსაო.

**ვლადივოსტოკი.** აქ მოვიდნენ ამერიკელი ხუროთ-მოძღვრები იმ განზრახვით, რომ გაიცნონ ციმბირის რკინის გზის გაყვანის პირობები. ხმა დადის, რომ ეს ხუროთ-მოძღვარნი გამოგზავნილნი არიან ამერიკის ერთის მდიდარ ამხანაგობისაგან, რომელსაც განზრახვა აქვს თავად იკისროს ხსენებულის გზის გაყვანაო.

**ბერლინი.** გერმანიის იმპერატორი წავიდა ავსტრი-ვენგრიის ჯარების დიდს აღლუმზედ დასასწრებლად, რომელიც ამ დღეებში იქნება ქვემო ავსტრიაში, მდ. ენსთან, იმპერატორის ფრანც-იოსების თანადასწრებით. იმპერატორის ვილჰელმის ამალაში იმყოფება გერმანიის საიმპერიო კანცლერი, ხოლო ავსტრიის იმპერატორის ამალაში — ავსტრი-ვენგრიის გარეშე საქმეთა მინისტრი.

**პარიჟი.** მდ. აივესთან, იქ, სადაც 1814 წ. ბრძოლა იყო, დღეს დიდი აღლუმი დაიწყება საფრანგეთის ჯარებისა.

23 აგვისტო

**ოდესა.** პურის მოტანამ ოდესაში იმატა; უკანასკნელს დღეებში ხუთასხუთასი ვაგონი მოდის და ამას გარდა მდ. დნესტრისა და დნეპრის მხრიდამ ნავებით შემოაქვთ დღე-ყოველ რამოდენიმე ათასობით ქერი. ბაზრობა ნელ-ნელა მიდის; განსაკუთრებით თხოულობენ პურსა, ისეთს, რომ ჰვავ-ნარევი არ იყოს. კარგ ანეულის პურში გუშინ 1 მან. და 36 კაპ. აძლევდნენ.

**კოპენჰაგენი.** ოფიციალურად იცნობებიან, რომ დიდი მთავარი გიორგი ალექსანდრეს ძე დღეს საღამოს გაბრძანდება ჰამბურგს და აქედამ სამხრეთისაკენ.

**პარიჟი.** დიდი მთავარი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე მეუღლითურთ მობრძანდნენ აქ გუშინ საღამოს.

გაზ. „Figaro“-ს შეუტყვია, ბელგრადში ხმაა გავრცელებული, სტამბულოვი მოჰკლესო, მაგრამ რამდენად მართალია ეს ამბავი ჯერ კიდევ არ ვიცით.

**სტამბოლი.** დიდი ვეზირი კიამილ-ფაშა სამსახურიდამ დაითხოვეს.

**კოპენჰაგენი.** შვეციის მეფე მობრძანდება აქ დღეს, ნაშუადღევის 1-ლ საათზე და დაესწრება საუზმეზედ, შაბათს-კი ხვეენის კუნძულზედ მიბრძანდება კურდღლებზედ სანადიროდ.

გუშინ საღამოს მათი იმპერატორებითი დიდებულებანი უავგუსტოესის შვილებითურთ და სხვანი სამეფო თეატრში წარმოდგენას დაესწრნენ. დიდ-ძალი საზოგადოება იყო და გულ-მხურვალედ მიეგება.

**შანჰაი.** ქალაქ იშანჰაში, მდ. იანწ-ლიანგოზე, ევროპიელების საწინააღმდეგოდ აჯანყდნენ; დიდძალი ქონება ქრისტიან მისიონერთა და ევროპიელთა ცეცხლს უმსხვერპლეს, ხოლო მოკლით-კი არავინ მოუკლიავთ.

პეტერბურგის ბირჟა, 20 აგვისტო

| | მყიდველისა. მან. კ. | გამყიდველისა. მან. კ. | გაყიდულისა. მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7, 88 | 7, 92 | — ,, |
| ტფილისის კუპონები . | 157 1/2 | 158 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1, 15 | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 234 3/4 |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 224 |
| —მესამისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურთაის ბანკის ფურცელი, . , , , | — ,, | 213 | 210 1/4 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით, ნაშუადღევის 4 საათზე მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურში შეივლის).

კვირაობით, საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-დამეს, შორის გზით.

პარასკეობით, დილით-ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შეივლის).

შაბათობით, დილით, სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე დამასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით, დილის 9 საათზე, და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყიზირიმისა და რუმელია ანატოლისკენ წამსვლელ გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამის გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებიდან გადაწყვეტილს ვადაზე გემები.


## ა. რალლე და ამხ.

მოსკოვში

სასახლის იჯარადარი

ა. რალლეს და ამხ.

ფაბრიკის მიერ განსაკუთრებით გაკეთებულნი და გამოგონილნი:

ხავერდის პუდრა

ფერადი საპონი გლიცერინისა

კვერცხის საპონი

უვავილებით დაწმენდილი ო-დე-კოლონი

ისყიდება რუსეთის ყველა ქალაქში. პრეისკურანტი უსასყიდლოდ შეიძლება დაიბაროს მსურველმა (5—4)

ეს განცხადება დაბეჭდილია „Правит. Вѣстн.“-ის 91 წ. 18 აპრილის მე-87 №-ში



გამოვიდა და ისყიდება

„ქართველთა ამხანაგობის“

წიგნის მაღაზიაში:

პირველი სამი ტომი

## ა. ყაზბეგისა

(ა. მოჩხუბარიძისა)

თხზულებისა ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი

ფასი ცალკე თითო ტომისა — — — — — 1 მ. 20 კ.
მშვენიერის ყდით საუკეთესო ქაღალდზე თითო ტომი — 2 მ. 50 კ.
ხოლო სამივე ტომი ერთად — — — — — 7 მ. „

ამ ტომებში მოთავსებულია შემდეგი მოთხრობები: ელგუჯა, ციკო, ელისო, მამის-მკვლელი, განკითხული, მოძღვარი და ციცია, და სულ სამივე ტომი შეიცავს ერთად 1400 გვერდს.

წიგნები ისყიდება აგრეთვე „ქართველთა ამხანაგობის“ აგენტებთან: სოხუმში—ფილიპე ერქომაიშვილი, ბათომში—ბესარიონ კალანდაძე, ფოთში—კონსტანტინე ნოდია (წიგნის მაღაზია), ოზურგეთში—კონსტ. თავართქილაძე და მამინაიშვილი (წიგნის მაღაზია), ქუთაისში—ძმ. წერეთლები (წიგნის მაღაზია), დ. ზესტაფონში—იოს. კაკაბაძე, მიქელაში—ილია ქიქინაძე, ზუგდიდში—ანდრ. შაფათავა, ხაშურში—იოს. ფანცულაია, ახალციხეში—ნიკ. ასათიანი, გორში არს. კალანდაძე (წიგნის მაღაზია), განჯაში—იაკ. ნოდია, თელავში—მიხ. ცისკარაშვილი, სამტრედიაში—გოდერძიშვილი და სიღნაღში—ნიკ. იოსელიანი. (0—1)



საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოდის ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით . . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . | 5 ,, 25,, |
| 10 ,, . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . | 4 ,, 70,, |
| 9 ,, . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.


Дозв. ценз. Тифлисъ, 23-го Августа 1891 г. სტამბა მ. შარაძისა. დროებითი რედაქტორი ზრ. ყიფშიძე გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.